# ლელო

№17
(10928)

17-23 მაისი, 1995 წ.

ფასი 600 რუბლი, ან 175 000 კუპონი.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




კახი კახიაშვილი (1992წ.)

# კახიაშვილისის ოქროს მედალი და მსოფლიოს რეკორდი

## მიქიაშვილი — მეოთხე, გოგია — მეხუთე

ვარშავაში დამთავრდა ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც მოულოდნელი მარცხი განიცადა ერთ დროს უძლეველმა რუსეთის გუნდმა (უფრო სწორად, საბჭოთა კავშირის ნაკრების სამართალმემკვიდრემ). ორი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი. ასეთი მოკრძალებული მაჩვენებელი ამ ქვეყნის წარმომადგენლებს ადრე არასდროს ჰქონიათ. ჩემპიონატის გუნდური ასპარეზობა საკმაოდ დამაჯერებლად მოიგეს თურქეთის წარმომადგენლებმა. მოულოდნელი იყო საბერძნეთის ძალოსანთა მეორე გუნდური ადგილიც.

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | - | 2 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 1 |
| რუსეთი | 2 | - | 1 |
| ბულგარეთი | 1 | 3 | 2 |
| პოლონეთი | 1 | 3 | 1 |
| ბელარუსი | 1 | - | - |
| სომხეთი | - | 1 | 2 |
| გერმანია | - | 1 | - |
| უკრაინა | - | 1 | - |
| უნგრეთი | - | - | 1 |

მკითხველმა უკვე იცის, რომ ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი საბერძნეთში გადავიდა საცხოვრებლად და იცავს ამ ქვეყნის ღირსებას კახიაშვილისის გვარით. კახიმ თავის წონაში (91 კგ) ტოლი არ დაუდო არავის და პირველი ადგილი დაიკავა — 407,5 (180+227,5), თანაც აკვრაში ბოლო ცდაზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა (ძველი ეკუთვნოდა რუსეთის წარმომადგენელს ალექსი პეტროვს).

ჩემპიონატში გამოდიოდნენ ჩვენი თანამემამულეები ბიძინა მიქიაშვილი და მუხრან გოგია, რომლებიც ოლიმპიური ჩემპიონისგან განსხვავებით საქართველოში ცხოვრობენ და ჩვენი ქვეყნის ღირსებას იცავენ. ბიძინა მიქიაშვილს (83 კგ) მეოთხე შედეგი ჰქონდა — 365 კგ (160+205), მუხრან გოგიას კი (108 კგ) მეხუთე — 390 (180+210). აღნიშნულ წონებში შესაბამისად ჩემპიონები გახდნენ: 83 კგ პიროს დიმასი (საბერძნეთი) — 387,5 (177,5+210) და 108 კგ. სერგეი სირცოვი (რუსეთი) — 410 (185+225)

საინტერესოა ერთი დეტალიც: ბიძინა მიქიაშვილმა ორჭიდში აჩვენა ისეთივე შედეგი, როგორიც მესამე ადგილზე გასულმა თურქმა დურსუნ სევინჩმა, მაგრამ ქართველი ძალოსანი უფრო მძიმე აღმოჩნდა და ამიტომაც ვერცხლის მედალი თურქს ერგო.

საქ. ინფორმაცია

სანქტ-პეტერბურგი. თანამეგობრობის ქვეყნების სპარტაკიადაზე ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობაში თავი ისახელა თბილისელმა გიორგაძემ, რომელმაც აბსოლუტურ პირველობაში ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი მოიპოვა. იგი უძლიერესი იყო აგრეთვე თავისუფალ ვარჯიშში, ხტომებში — მესამე. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ჩვენი ნაკრების წევრი მელელაშვილი. მანამდე ძიუდოში გამარჯვება იზეიმა გორელმა რამაზ ჩოჩიშვილმა. უკანასკნელი მონაცემებით ჩვენებს თავისუფალ ჭიდაობაშიც ჰქონდათ მოპოვებული საპრიზო ადგილები. სამწუხაროდ, ტელეფონით დაკავშირებისას, სპარტაკიადის ორგანიზატორთა სამდივნომ ჩვენი ათლეტების გვარები ვერ დაგვიზუსტა.

# მოკლედ

## ინფორმაცია, ფაქტი...

● კრივი.

ბერლინში, ევროპის ჩემპიონატზე, ვერც ერთმა ქართველმა ვერ გადალახა მეოთხედფინალის ზღვარი. რამაზ ფალიანმა (57 კგ) და პაატა გვასალიამ (60 კგ), რომლებიც რუსეთის ღირსებას იცავდნენ, დათმეს ბრძოლები გერმანელ მოკრივეებთან ფალკ ხუსტესთან (ანგარიშით 1:8) და მარკო რუდოლფთან (5:10). საქართველოს წარმომადგენელმა გიორგი კანდელაკმა (91 კგ) კი უარი თქვა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთან ფელიქს სავონთან (კუბა) ბრძოლაზე.

მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა. მოკრივეთა მსოფლიო საბჭომ №1 პრეტენდენტად დაასახელა ციხიდან ახლახან გამოშვებული მაიკ ტაისონი, რომელსაც 1991 წლის ივნისიდან პროფესიულ რინგზე არც ერთი ბრძოლა არ გაუმართავს. მსოფლიოს ექსჩემპიონებმა ევანდერ ჰოლიფილდმა, ლენოქს ლუისმა, მაიკლ მურერმა ეს ფაქტი კანონსაწინააღმდეგო ქმედებად გამოაცხადეს.

● ფეხბურთი.

ევროპის თითქმის ყველა რადიოსადგურმა გადმოსცა ცნობა, რომ „ტოტენჰემის" ფორვარდი იურგენ კლინსმანი სეზონის ბოლოს მიუნხენის „ბაიერნში" გადავა. 31 წლის ფეხბურთელს მიაჩნია, რომ მისი თამაში დღეს გერმანულ ფეხბურთს სჭირდება.

● ოლიმპიური ქრონიკა.

შვეციის პრემიერი ინგვარ კარლსონი 16 ივნისს დაესწრება სოკის სესიას ბუდაპეშტში, სადაც გადაწყდება 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის საკითხი. როგორც ცნობილია, კანდიდატთა შორის დასახელებულია შვეციის ესტერსუნდიც.

● ძიუდო

გთავაზობთ ბირმინჰემში (ინგლისი) მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ზოგიერთი წინასწარი შეხვედრის შედეგს. 78 კგ. პატრიკ რეიტერი (ავსტრია) — **სოსო ლიპარტელიანი (საქართველო)** — წმინდა გამარჯვება (იპონი); 86 კგ. **ივერი ჯიქურაული (საქართველო)** — ფილიპ ხროდჟე (ხორვატია) — დიდის უპირატესობით (ვაზარი); + 95 კგ. სერგეი კოსოროტოვი (რუსეთი) — **ალექსი დავითაშვილი (საქართველო)** — ვაზარი.

● ფეხბურთი

შეპეტოვკის „ტემპის" (ამ გუნდს უკრაინის ჩემპიონატში ბოლოსწინა მეჩვიდმეტე ადგილი უკავია) პრეზიდენტის ჯუმბერ ნიშნიანიძის მოწვევით ამ ქალაქში სამუშაოდ ჩავიდა სსრკ ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ყოფილი მოთამაშე და შემდგომში საკმაოდ ცნობილი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ტემპში" უფრო მეტი ქართველი გამოდის, ვიდრე უკრაინელი და რუსი.

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

## გაიმარჯვა „სარაგოსამ"

10 მაისს პარიზის „პარკ დე პრენსის" სტადიონზე გაიმართა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გადამწყვეტი, ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ესპანეთის „სარაგოსა" და ლონდონის „არსენალი".

თამაშის პირველ ნახევარში წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 0-0. შესვენების შემდეგ პირველი ბურთი გაიტანა ესპანელმა ესნაიდერმა, ხოლო ინგლისელმა ჰართსონმა შემდგომში თანაბრობა აღადგინა — 1-1 და თამაშის ძირითადი დროც ასეთი ანგარიშით დამთავრდა. დამატებითი 30 წუთიც დასასრულს უახლოვდებოდა, თითქოს საქმე 11-მეტრიანების სერიას უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ მატჩის ბოლო, 120-ე წუთზე ყველაფერი გადაწყვიტა „სარაგოსას" მოთამაშის ნაიმის მოულოდნელმა, ზუსტმა მანევრმა: მან დაახლოებით 45 მეტრის მანძილიდან დაარტყა, ძლიერად მქროლმა ბურთმა თავზე გადაუარა „არსენალის" მეკარეს სიმენს, რომელიც ამ დროს კარიდან წინ იყო გამოსული, და ბადეში აღმოჩნდა. თასების მფლობელთა თასი „სარაგოსას" ხელთ გადავიდა.

## ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ორი შესარჩევი შეხვედრა.

II ჯგუფი. სომხეთი-მაკედონია 2-2. სომეხი ფეხბურთელები იგებდნენ თამაშს ანგარიშით 2-0, მაგრამ მაკედონიელებმა შეძლეს ორივე ბურთის გაქვითვა. გოლები: გრიგორიანი (22 წთ.), შახგელდიანი (51), ხრისტოვი (60), მარკოვსკი (70).

გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 14-3 | 16 |
| დანია | 5 | 2 | 2 | 1 | 6-6 | 8 |
| ბელგია | 6 | 2 | 2 | 2 | 8-9 | 8 |
| მაკედონია | 6 | 1 | 3 | 2 | 7-7 | 6 |
| კვიპროსი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |
| სომხეთი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-8 | 2 |

VIII ჯგუფი. ფარერის კ-ბი — რუსეთი 0-3. მასპინძლებმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს რუსეთის გუნდს და დამარცხდნენ. გოლები: კეჩინოვი, პისარევი, მუჰამადიევი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 15-7 | 12 |
| საბერძნეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 12-4 | 12 |
| რუსეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 11-1 | 11 |
| შოტლანდია | 6 | 3 | 2 | 1 | 10-3 | 11 |
| სან-მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 1-14 | 0 |
| ფარერის კ-ბი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-22 | 0 |

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი. XXVII ტური

„სამგურალი" (წყალტუბო) — „დურუჯი" (ყვარელი) 2-1
„საპოვნელა" (თერჯოლა) — „კახეთი" (თელავი) 2-1
„დინამო" (ზუგდიდი) — „დინამო" (თბილისი) 2-2
„მეტალურგი" (რუსთავი) — „კოლხეთი-1913" (ფოთი) 6-1
„ივერია" (ხაშური) — „ტორპედო" (ქუთაისი) 3-2
„დილა" (გორი) — „სამტრედია" (სამტრედია) 0-1
„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „დინამო" (ბათუმი) 3-1
„გურია" (ლანჩხუთი) — „შევარდენი-1906" (თბილისი) 3-2

ფოთში გაიმართა ეროვნული ჩემპიონატის XVII ტურის გამოტოვებული მატჩი, „კოლხეთი-1913" მასპინძლობდა თბილისის „დინამოს". 3-2 გაიმარჯვეს სტუმრებმა. აღსანიშნავია, რომ ფოთელთა კარში სამივე გოლი ჯამარაულმა გაიტანა.

სატურნირო ცხრილი 27-ე ტურის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამტრედია" (სამტრედია) | 27 | 23 | 1 | 3 | 69-21 | 70 |
| „დინამო" (თბილისი) | 27 | 22 | 3 | 2 | 103-30 | 69 |
| „კოლხეთი-1913" (ფოთი) | 27 | 18 | 3 | 6 | 64-27 | 57 |
| „დინამო" (ბათუმი) | 27 | 13 | 6 | 8 | 62-39 | 45 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 27 | 12 | 7 | 8 | 47-32 | 43 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 27 | 13 | 2 | 12 | 53-42 | 41 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 27 | 12 | 4 | 11 | 50-44 | 40 |
| „დილა" (გორი) | 27 | 10 | 5 | 12 | 24-33 | 35 |
| „ივერია" (ხაშური) | 27 | 9 | 4 | 14 | 39-49 | 31 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 27 | 8 | 5 | 14 | 36-71 | 29 |
| „მარგვეთი" (ზესტაფონი) | 27 | 8 | 5 | 14 | 23-50 | 29 |
| „შევარდენი-1906" (თბილისი) | 27 | 7 | 6 | 14 | 30-45 | 27 |
| „კახეთი" (თელავი) | 27 | 6 | 9 | 12 | 32-50 | 27 |
| „საპოვნელა" (თერჯოლა) | 27 | 6 | 6 | 15 | 31-64 | 24 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 27 | 7 | 2 | 18 | 24-60 | 23 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 27 | 5 | 6 | 16 | 28-58 | 21 |

# ვასილი დავიდენკო ლიდერებში

„ლელოს" მკითხველებმა იციან, რომ თბილისის „შევარდენის" ველოსკოლის აღზრდილი ვასილი დავიდენკო უკვე სამი წელია იტალიაში იმყოფება პროფესიონალის სტატუსით.

ჩვენი სპორტსმენი რეკლამას უწევს „ნავი-გალეს" და გულმოდგინედ ემზადება ატლანტის ოლიმპიური თამაშებისთვის, სადაც საქართველოს ღირსებას დაიცავს. ველოსიპედისტის წლევანდელი სამზადისის ციკლი ასამდე შეჯიბრებას მოიცავს. რაც გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე შარშან და შარშანწინ ჰქონდა განსაზღვრული მწრთნელის მიერ.

ამ ცოტა ხნის წინ ვასილი დავიდენკომ მონაწილეობა მიიღო საკმაოდ პრესტიჟულ მრავალდღიან რბოლაში „ტურ დიუპონში". ჩვენ ამ შეჯიბრების ყველა შედეგი არ გაგვაჩნია. ვიცით მხოლოდ, რომ ერთ-ერთ ეტაპზე, რომელიც უზბეკმა ჯომოლიდინ აბდუჟაპაროვმა („ნოველი") მოიგო, ლიდერთა შორის ვასილი დავიდენკოც იმყოფებოდა, გამარჯვებულმა 214 კილომეტრი გაიარა 6:02.32-ში. იგივე შედეგი ჰქონდათ მეორე ადგილზე გასულ იტალიელს მასიმო სტრაცერს და მესამე პრიზიორ რობი მაკივენს (ავსტრალია). დავიდენკომ ფინიშის ხაზი ლიდერთა მხარდამხარ გადაკვეთა, ამიტომ მისი შედეგიც ისეთივეა, როგორც გამარჯვებულისა, ოღონდ მსაჯებმა მას VIII ადგილი განუსაზღვრეს.

# მოკლედ

## მილოცვა

მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების ასოციაცია დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს მოზარდთა ამაგდარ მკურნალს, თბილისის ჯანდაცვის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს თენგიზ ქუთათელაძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუთუ მართლა მეტი არ შეგვიძლია?..

**მსოფლიო ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში**



ევროპის მორიგმა ჩემპიონატმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელსაც საფრანგეთის ქალაქი ბეზანსონი მასპინძლობდა, ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ ბოლო დროს კონტინენტზე ძალთა სერიოზული გადაჯგუფება მოხდა და ნელ-ნელა მოწინავე პოზიციები მანამდე არცთუ დიდად გამორჩეულმა ქვეყნებმა დაიკავეს. თუმცა ეს არ ითქმის მხოლოდ რუსეთზე, რომელიც იყო და რჩება აღიარებულ ლიდერად ჭიდაობის ამ სახეობაში.

რა მდგომარეობაა დღესდღეობით ევროპის საჭიდაო სარბიელზე ნათლად ჩანს პრიზიორთა ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან:

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 2 | - |
| უკრაინა | 1 | 1 | 2 |
| პოლონეთი | 1 | 1 | - |
| სომხეთი | 1 | 1 | - |
| ბულგარეთი | 1 | 1 | - |
| საბერძნეთი | 1 | - | - |
| საფრანგეთი | 1 | - | - |
| შვეცია | 1 | - | - |
| გერმანია | - | 2 | 2 |
| რუმინეთი | - | 1 | - |
| თურქეთი | - | 1 | - |
| ბელარუსი | - | - | 3 |
| ფინეთი | - | - | 1 |
| ისრაელი | - | - | 1 |
| მოლდოვა | - | - | 1 |

ჯერ ერთი, თვალშისაცემია ის, რომ რუსეთის გარდა არც ერთ ქვეყანას არ ჰყავს ერთზე მეტი ჩემპიონი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაიზარდა პრიზიორთა გეოგრაფია. დღეისათვის ამ სიაში წარმოდგენილია თხუთმეტი ქვეყანა, რომელთაგან რამდენიმე ადრე არასოდეს ყოფილა პრიზიორი ამ რანგის ტურნირში.

თვალშისაცემია, აგრეთვე, ის, რომ სიაში არ არის წარმოდგენილი საქართველო. კაცმა რომ თქვას ჩვენი ქვეყანა საფრანგეთში საკმაოდ მოკრძალებულად იყო წარმოდგენილი და, ბუნებრივია, დიდი წარმატების იმედი უნდა გვქონოდა. თუმცა, ასეთი წარუმატებელი გამოსვლა ალბათ მაინც მოულოდნელი იყო. ჩემპიონატში მონაწილეობდა სამადსამი ჩვენი ათლეტი, რომელთაგან ერთმა — მსოფლიოს ექსჩემპიონმა გურამ გედეხაურმა (100 კგ) V ადგილი დაიკავა, მეორემ — კობა გულიაშვილმა (62 კგ) — IX, ჯამბულ ფუტკარაძე (57 კგ) კი ორი წრის შემდეგ გამოეთიშა ასპარეზობას.

ძნელი სათქმელია, მაგრამ იქნებ სჯობდა საერთოდ არ გაგვეყვანა ჩემპიონატზე არც ერთი მოჭიდავე და ყველაფერი უფულობისათვის დაგვებრალებინა. თორემ გამოდის, რომ ჩემპიონატზე გავაგზავნეთ საუკეთესონი და ამის მეტი არაფერი შეგვძლებია. თუმცა...

ჩვენი თანამემამულენი სხვა გუნდებში, თქვენ წარმოიდგინეთ ურიგოდ როდი გამოსულან. ქუთაისელი გოგი კოღუაშვილი მაგალითად, ამჟამად რომ მოსკოვში ცხოვრობს და რუსეთის ღირსებას იცავს, ჩემპიონი გახდა. თანაც ფინალში მან წმინდად მოუგო მსოფლიოს ექსჩემპიონ მარკ ბალმანს. ბრწყინვალედ იასპარეზა ამჟამად უკრაინელმა გიორგი სალდაძემაც (100 კგ). იგი დამარცხდა მხოლოდ ფინალში სერგეი სვირთან, ისიც მინიმალური სხვაობით — 1:3 და საბოლოოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა. კარგი შთაბეჭდილება დატოვა საქართველოში ფეხადგმულმა გოჩა ციციაშვილმაც (82 კგ), რომელიც ისრაელში ცხოვრობს. მან დამსახურებულად მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი. 100 კგ-ში მეოთხე ადგილი დაიკავა თეიმურაზ ედიშერაშვილმა, თუმცა იგი რუსეთის მკვიდრი მოქალაქეა. ზემოთ ჩამოთვლილმა გვარებმა როგორღაც ალბათ უნდა დაგვაფიქროს.

ტრადიციის თანახმად გთავაზობთ ჩემპიონატის პრიზიორთა სიას:

ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ბეზანსონი (საფრანგეთი). 1995 წლის 26-30 აპრილი.

48 კგ. 1. იონის აგაჯანიანი (საბერძნეთი), 2. ზაფერ გულიევი (რუსეთი), 3. ოლეგ კუშჩურენკო (გერმანია).

52 კგ. 1. არმენ ნაზარიანი (სომხეთი), 2. ალფრედ ტერ-მკრტიჩიანი (გერმანია), 3. ანდრეი კალაშნიკოვი (უკრაინა).

57 კგ. 1. რუსლან ხანკიმოვი (უკრაინა), 2. აღასი მანუკიანი (სომხეთი), 3. იან ულბრიხტი (გერმანია).

62 კგ. 1. ვლოდზიმეჟ ზავადსკი (პოლონეთი), 2. სერგეი მარტინოვი (რუსეთი), 3. იგორ პეტრენკო (ბელარუსი).

68 კგ. 1. განი იალუ (საფრანგეთი), 2. რიშარდ ვოლნი (პოლონეთი), 3. მარკო ული-ხანუკსელა (ფინეთი).

74 კგ. 1. სტოიან დობრევი (ბულგარეთი), 2. მირჩა კონსტანტინი (რუმინეთი), 3. ვლადიმერ კოპიტოვი (ბელარუსი).

82 კგ. 1. სერგეი სვირი (რუსეთი), 2. ხრისტო სტანჩევი (ბულგარეთი), 3. გოჩა ციციაშვილი (ისრაელი).

90 კგ. 1. გოგი კოღუაშვილი (რუსეთი), 2. მარკ ბალმანი (გერმანია), 3. ვიაჩესლავ ოლეინიკი (უკრაინა).

100 კგ. 1. მიქაელ ლუნდბერგი (შვეცია), 2. გიორგი სალდაძე (უკრაინა), 3. სერგეი ლიხტვანი (ბელარუსი).

130 კგ. 1. ალექსანდრე კარელინი (რუსეთი). 2. საბან დონატი (თურქეთი), 3. სერგეი მურეიკო (მოლდოვა).

**მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში**

# ზონალური, საზონათშორისო, პრეტენდენტები...

წლევანდელი საჭადრაკო სეზონი სამი მსოფლიო პირველობის ციკლს აგვირგვინებს. აგვისტოში მსოფლიო ჩემპიონი პროფესიული საჭადრაკო ასოციაციის ვერსიით გარი კასპაროვი (რუსეთი) უნდა შეხვდეს პრეტენდენტ ვიშვანათან ანანდს (ინდოეთი), შემოდგომით (ზუსტი თარიღი ჯერ დაუდგენელია) მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის ჩინელი სიე ჟუნი ეთამაშება პრეტენდენტ ჟუჟა პოლგარს (უნგრეთი), ხოლო ნოემბერში გაიმართება მატჩი ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ანატოლი კარპოვსა (რუსეთი) და პრეტენდენტ გატა კამსკის (აშშ) შორის.

ამასობაში იწყება ახალი ციკლიც — მსოფლიოს 1995-97 წლების პირველობის გათამაშება. რა შეჯიბრებებში მიელით მონაწილეობა ქართველ მოჭადრაკეებს?

ფიდეს გადაწყვეტილებით საქართველო იმ ზონაში მოხვდა, სადაც მასთან ერთად გამოდიან იუგოსლავია (ე.წ. შეკვეცილი იუგოსლავია, სერბიისა და ჩერნოგორიის რესპუბლიკები), სომხეთი, თურქეთი, საბერძნეთი, კვიპროსი და მალტა. 15 მაისს იწყება ზონალური ტურნირები ანკარაში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. მათ საზონათშორისო ასპარეზობის მონაწილეები უნდა გამოავლინონ.

ზონალური ტურნირის მონაწილენი ჯერ კიდევ საქართველოს ქალთა შარშანდელ ჩემპიონატში შეირჩნენ. ესენი არიან: ნათია ჯანჯღავა, ნატო ეძგვერაძე, მაია ლომინეიშვილი და მირანდა ხორავა. ერთი ადგილი პერსონალურად მიეკუთვნა დიდოსტატ ნინო გურიელს. აი ეს ხუთეული იბრძოლებს ანკარაში, შვეიცარიული სისტემით (9 ტური). პირობები არ არის მაინცდამაინც მკაცრი: 7 გამარჯვებული საზონათშორისო ტურნირში გააგრძელებს ბრძოლას. მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ ცნობილი არაა მონაწილეთა საბოლოო სია, ჩვენი კონკურენტები კი ძირითადად იუგოსლავიის, სომხეთისა და საბერძნეთის მოჭადრაკე ქალები იქნებიან. ალბათ ნინო გურიელი აუცილებლად მოხვდება გამარჯვებულთა შორის, რაც შეეხება ახალგაზრდა ოსტატებს, ისინიც, ცხადია, იბრძოლებენ საზონათშორისო ტურნირში თამაშის უფლების მოსაპოვებლად. როგორც ჯანჯღავასა და ეძგვერაძეს, ისე ლომინეიშვილსა და ხორავას შესწევთ საამისო ძალა და ცოდნა.

ვაჟთა ზონალური ტურნირის მონაწილეები ასევე საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონატმა შეარჩია. ესენი არიან: დიდოსტატი ლაშა ჯანჯღავა, საერთაშორისო ოსტატები ხვიჩა სუპატაშვილი, თამაზ ტაბატაძე და გია ბაღათუროვი. მათ დაემატა პერსონალურად მიწვეული დიდოსტატი გია გიორგაძე, რომელიც, როგორც ცნობილია, მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების პირველ ასეულში შედის. ჩვენს ქართულ ხუთეულს ანკარაში მეტად რთული ამოცანების გადაწყვეტა მოელის. საქმე ის არის, რომ ქალთა ტურნირისგან განსხვავებით, საზონათშორისო ასპარეზობაში გასასვლელი ადგილი მხოლოდ სამია, კონკურენცია კი ძალზე დიდი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სომეხმა დიდოსტატებმა წინა ზონალურ ტურნირში ჩვენზე უკეთ ითამაშეს. ანგარიშშია მისაღები ისიც, რომ ამჯერად იუგოსლავიელებთანაც გვიხდება შეხვედრა. სულ რამდენიმე წლის წინათ იუგოსლავიელები მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესნი იყვნენ. ახლა მართალია, სვეტოზარ გლიგორიჩი, ალექსანდრ მატანოვიჩი, ბორა ივკოვი, მილან მატულოვიჩი (სამი მათგანი ე.წ. „დანარჩენი მსოფლიოს“ ნაკრებში შედიოდა) ასპარეზობებს ჩამოსცილდნენ, მაგრამ იუგოსლავიას ახალგაზრდა ძლიერი დიდოსტატების მთელი თაობა ჰყავს. ამ ბოლო ხანებში საბერძნეთშიც ბევრი რამ კეთდება ჭადრაკის განვითარების მიზნით.

მსოფლიო პირველობის გათამაშების შემდგომი ეტაპია საზონათშორისო ტურნირები. ქალთა ასპარეზობაში, რომელიც წლეულსვე ეწყობა, პერსონალურად მიწვეული არიან ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია და ნინო ხურციძე. ნანა იოსელიანი ახლა დროებით პრაღაში ცხოვრობს და ჩეხეთის საჭადრაკო ცხოვრებაში მონაწილეობს. სულ ცოტა ხანში იგი გამოვა უკვე ტრადიციულად ქცეულ შეჯიბრებაში, რომელსაც „ქალბატონები სენიორების წინააღმდეგ“ ჰქვია. ამ შეჯიბრებაში ნანა, როგორც წესი, წარმატებით გამოდის ხოლმე. ქეთევან არახამია ბევრს თამაშობს როგორც ქალთა, ისე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში. ჩვენ ახალი თაობის ფრიად ნიჭიერი წარმომადგენლის ნინო ხურციძის დიდი იმედი გვაქვს. ვნახოთ, რამდენი ქართველი მოჭადრაკე ქალი დაემატება სამეულს ზონალური ტურნირიდან. ორი? სამი? იქნებ მეტიც!

რაც შეეხება ვაჟთა საზონათშორისო ტურნირს, იგი ფაქტობრივად, ორია. ერთი, ტრადიციული, რომელსაც ფიდე აწყობს, მეორე, შედარებით ახალი, პროფესიული საჭადრაკო ასოციაციის ეგიდით. აქ საქართველოს უძლიერესი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი ითამაშებს და წარმატების კარგი შესაძლებლობაც აქვს.

გაისად პრეტენდენტების ასპარეზობა უნდა გაიმართოს. მასში პერსონალურად მიწვეულია მაია ჩიბურდანიძე, როგორც პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილე. ვუსურვოთ მას ადრინდელი საბრძოლო თვისებების რაც შეიძლება მალე აღდგენა.

ერთი სიტყვით, ყველაფერი თავიდან იწყება...

ბივი გამრეკელი,
ოსტატი

# ოლიმპიზმი მარადიულია

როგორც ცნობილია, პარიზში ჩატარდა თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონგრესი. დღეს გვეძლევა შესაძლებლობა გაგაცნოთ საიუბილეო კონგრესზე სოკის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის გამოსვლის ტექსტი მცირეოდენი შემოკლებით.

ოლიმპიური მოძრაობის სახელით, პირველ ყოვლისა, მივესალმები საფრანგეთს, სადაც თანამედროვე ოლიმპიადების ფუძემდებლის ბარონ პიერ დე კუბერტენისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ფესვებია გადგმული.

ჩვენ უკვე ვიყავით პარიზში, როცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ასი წლისთავი აღინიშნა სორბონის უნივერსიტეტში, სადაც 1894 წელს შეიქმნა ეს კომიტეტი და პატივი მივაგეთ ჩვენს დამფუძნებელს, საფრანგეთის საამაყო შვილს, ბარონ პიერ დე კუბერტენს.

მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია, განსაკუთრებით არასამთავრობო, თუ მოიწონებს თავს ასწლიანი ისტორიით.

ახლა ოლიმპიური კონგრესი საშუალებას გვაძლევს გადავხედოთ ჩვენს წარსულს და გავითვალისწინოთ მომავალი.

გვახსენდება ბარონ დე კუბერტენის დიდი იდეები. მან გაცილებით მეტი მნიშვნელობა მიანიჭა სოკ-ს, ვიდრე სპორტულ ასოციაციებს აქვთ, რათა ინტელექტუალური, კულტურული და ფილოსოფიური ხასიათი შევუნარჩუნოთ ოლიმპიზმს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიურ მუზეუმთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ერთად ლოზანაში (შვეიცარია), რომელიც აგრეთვე 1915 წლიდან სოკ-ის შტაბ-ბინაა, ერთმანეთს უკავშირებს სპორტს ხელოვნებასა და კულტურას. ოლიმპიური იდეალები მკვიდრდება მთელს მსოფლიოში. კონგრესს ესწრება 51 საერთაშორისო ფედერაციის სპორტული ორგანიზაციისა და 196 ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელი.

ჩვენ ვისაუბრებთ ოლიმპიზმის როლზე, რომელიც მან უნდა შეასრულოს თანამედროვე საზოგადოებაში თავისი დანიშნულების ერთგული რომ დარჩეს მესამე ათასწლეულის დასაწყისში.

ბოლოდროინდელი ჩვენი დიდი გამარჯვებაა აპარტეიდის დამარცხება სამხრეთ აფრიკაში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის სოკ-ს, რის შედეგადაც სამხრეთ აფრიკის ყველა რასის სპორტსმენები შეერწყნენ ოლიმპიურ ოჯახს და მონაწილეობდნენ XXV ოლიმპიურ თამაშებში 1992 წელს ბარსელონაში.

ბოლო ასი წლის განმავლობაში მსოფლიო მნიშვნელოვნად შეიცვალა, თუმცა კვლავ დიდდება სხვაობა ეკონომიკურად განვითარებულ ინდუსტრიულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. სწორედ ამით აიხსნება ჩვენი დაინტერესება, რომ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს, აღმოვუჩინოთ ტექნიკური და ფინანსური დახმარება, განსაკუთრებით მათ, რომლებიც იმყოფებიან არასახარბიელო მდგომარეობაში სპორტის გასავითარებლად.

მაგალითად, ბოლო ხანს ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამით 150 მილიონი დოლარი გამოყო სოკ-მა სხვადასხვა კურსების, სემინარების, სპორტის განვითარებისა და ხელმოკლე ქვეყნების სპორტსმენთა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის დასაფინანსებლად.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მხარს უჭერს და ეხმარება სასკოლო და საუნივერსიტეტო სპორტის განვითარებას, რეგიონალური და ტრადიციული თამაშების ჩატარებას, აგრეთვე ინვალიდთა სპორტში ჩაბმას.

სამწუხაროდ, დღეს მსოფლიოში სულ უფრო იზრდება შეიარაღებული კონფლიქტები, სტიქიური უბედურებები, რის შედეგადაც იღუპება ხალხი. სოკი გულგრილი არ არის მათ მიმართ.

ოლიმპიური მოძრაობა ჩვენი საზოგადოების შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად მორალური პასუხისმგებლობა გვმართებს და ჰუმანურ მოვალეობად მიგვაჩნია ვემსახუროთ საერთაშორისო თანამშრომლობას.

სწორედ ამის გამო სოკ-ი დახმარებას სთავაზობს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს, რომელთა ქვეყნები კონფლიქტურ სიტუაციებში არიან ჩაბმულნი და თანამშრომლობენ გაეროსთან.

ოლიმპიზმი, ჯერ კიდევ 1913 წელს თქვა კუბერტენმა, თანამედროვე მსოფლიოში იმისთვის კი არ გაჩენილა, რომ ლოკალური როლი შეასრულოს, მისია, რომელიც მას მინდობილი აქვს, მარადიული და უნივერსალურია.

დასასრულ მინდა მადლიერებით გავიხსენო ყველა წინამორბედი, სოკის პრეზიდენტი, ვინაიდან, 1894 წლიდან, თითოეული მათგანი მხარს უჭერდა ტრადიციებსა და იდეალებს, უზრუნველყოფდა ოლიმპიური მოძრაობის უწყვეტ ერთიანობას.

აქ ჩვენ კიდევ ერთხელ ვავლენთ ოლიმპიური მოძრაობის სიცოცხლისუნარიანობასა და ერთიანობას, მაშასადამე, მათი მომავლის რწმენას.

## შეკითხვა „ლელოს“

შეკითხვა: ახლო წარსულში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ბავშვთა მთელ რიგი დაავადებების ფიზიკური მეთოდებით მკურნალობას. მუშაობდა საექიმო-ფიზკულტურის დისპანსერები. გვაინტერესებს ამჟამად სად შეიძლება ხერხემლის სხვადასხვა დეფორმაციის (სქოლიოზი, კიფოზი, ლორდოზი...), ბრტყელტერფიანობის, სამშობიარო ტრავმებისა და ცერებრალურ დამბლიანი ბავშვების მკურნალობა?

ვენერა ჩხარტიშვილი,
ლაურა მინდელი.
თბილისი.

რედაქციამ ეს შეკითხვა გააცნო თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს ბავშვთა სპორტულ მედიცინასა და რეაბილიტაციაში თენგიზ ქუთათელაძეს. აი, რა თქვა ბატონმა თენგიზმა: ჩიტაძის ქუჩის № 9-ში კვლავ მოქმედებს თბილისის ბავშვთა სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი, აგრეთვე მუშაობს ბავშვთა რეაბილიტაციის რესპუბლიკური საავადმყოფო (ვაჟა-ფშაველას გამზირი). ძირითადად აქ მკურნალობენ მოზარდთა ზემოაღნიშნულ დაავადებებს.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## პირველი ჯგუფი XXV-XXVI ტურები

„საპოვნელა" (თერჯოლა) — „დურუჯი" (ყვარელი) 0-0
„მეტალურგი" (რუსთავი) — „კახეთი" (თელავი) 2-2
„ივერია" (ხაშური) — „დინამო" (თბილისი) 0-2
„დილა" (გორი) — „კოლხეთი-1913" (ფოთი) 2-1
„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 3-2
„გურია" (ლანჩხუთი) — „სამტრედია" (სამტრედია) 0-3
„შევარდენი-1906" (თბილისი) — „დინამო" (ბათუმი) 1-1
„დინამო" (ზუგდიდი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 2-1. მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ვ. ჩოჩიშვილი, ზ. ცინცაძე (ორთავე თბილისიდან).

„ДИНАМО": ჰანტურია, ახვლედიანი, ძალამიძე, თუთბერიძე, მიქაძე ჯაძანაია, კვარაცხელია, კუტალია, დარასელია, გაბისონია, გაბედავა (წიტაიშვილი); „САМГУРАЛИ": კიკალეიშვილი, ივანეიშვილი, თოდაძე, ლ. ფესტვენიძე, ვ. ფესტვენიძე, ჩიხლაძე, მუშკუდიანი, იობიძე, ჯანაშია, ქობულაძე, ჩხეტიანი.

ГОЛЕБИ: გაბისონია — 2, ჯანაშია.

ამ მატჩის შედეგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სატურნირო ცხრილის ფსკერზე მოქცეულ სტუმართათვის: თითოეული დაკარგული ქულა სულ უფრო ამცირებს პირველ ჯგუფში წყალტუბოელთა დარჩენის ისედაც მიზერულ შანსებს. თუ ამას დავუმატებთ, რომ „სამგურალმა" ზუგდიდში სათამაშოდ ვერ გამოიყვანა ამას წინათ ტრავმირებული თავისი ძირითადი დამრტყმელი ძალა, გასაგები გახდება რაოდენ გაუჭირდებათ სტუმრებს. მასპინძლებმა ძალების დაძაბვის გარეშე აიღეს მორიგი სამი ქულა.

შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ დავასახელებდით ზუგდიდელთა შეტევების ლიდერს გელა გაბისონიას. მთელი 90 წუთი იგი გამუდმებით მოძრაობდა წინა ხაზზე, მშვენივრად იხსნებოდა უბურთოდ და შედეგიანადაც ამთავრებდა პარტნიორთა კომბინაციებს. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ გაბისონიას მიერ გატანილი მეორე გოლი (ზურგით კარისკენ წყალტუბოელთა მცველების გარემოცვაში მდგომმა, მან მოულოდნელად „მაკრატელათი" გაგზავნა ბურთი კარის ბადეში), ასეთი გოლი ნებისმიერ მსოფლიო ჩემპიონატს დაამშვენებდა.

### XXVI ტური

„დურუჯი" (ყვარელი) — „შევარდენი-1906" (თბილისი) 3-1
„დინამო" (ბათუმი) — „გურია" (ლანჩხუთი) 6-0
„სამტრედია" (სამტრედია) — „მარგვეთი" (ზესტაფონი) 2-0
„ტორპედო" (ქუთაისი) — „დილა" (გორი) 4-0
„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „ივერია" (ხაშური) 8-1
„კახეთი" (თელავი) — „დინამო" (ზუგდიდი) 4-3
„სამგურალი" (წყალტუბო) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 2-2
„დინამო" (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 3-0

### აი, როგორ გამოიყურება სატურნირო ცხრილი 26 ტურის შემდეგ:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამტრედია" (სამტრედია) | 26 | 22 | 1 | 3 | 68-21 | 67 |
| „დინამო" (თბილისი) | 25 | 21 | 2 | 2 | 98-26 | 65 |
| „კოლხეთი-1913" (ფოთი) | 25 | 18 | 3 | 4 | 61-18 | 57 |
| „დინამო" (ბათუმი) | 26 | 13 | 6 | 7 | 61-36 | 45 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 26 | 13 | 2 | 11 | 51-39 | 41 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 26 | 11 | 7 | 8 | 41-31 | 40 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 26 | 12 | 3 | 11 | 48-42 | 39 |
| „დილა" (გორი) | 26 | 10 | 5 | 11 | 24-32 | 35 |
| „ივერია" (ხაშური) | 26 | 8 | 4 | 14 | 36-47 | 28 |
| „შევარდენი-1906" (თბილისი) | 26 | 7 | 6 | 13 | 28-42 | 27 |
| „კახეთი" (თელავი) | 26 | 6 | 9 | 11 | 31-48 | 27 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 26 | 7 | 5 | 14 | 33-69 | 26 |
| „მარგვეთი" (ზესტაფონი) | 26 | 7 | 5 | 14 | 20-49 | 26 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 26 | 7 | 2 | 17 | 23-58 | 23 |
| „საპოვნელა" (თერჯოლა) | 26 | 5 | 6 | 15 | 29-63 | 21 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 26 | 4 | 6 | 16 | 26-57 | 18 |

მაშ ასე, საქართველოს მეექვსე ეროვნული ჩემპიონატის დასრულებამდე გუნდებს ჩასატარებელი დარჩათ ოთხიხუთი კალენდარული მატჩი თითოეულს. გულშემატკივრებს შევახსენებთ ლიდერების სათამაშო კალენდარს:

„САМТРЕДИА" — შინ: „ივერია", დინამო (ზგ);
სტუმრად: „დილა", „მეტალურგი".
„ДИНАМО" (თბ) — შინ: „საპოვნელა", „კახეთი";
სტუმრად: „დინამო" (ზგ), „კოლხეთი-1913", „სამგურალი".

„ინტერტოტოს თასის" გათამაშებიდან საქართველოს საფეხბურთო კლუბების გამოთიშვამ, მართალია ყველას გული დაგვწყვიტა, მაგრამ მეორეს მხრივ, ამ გარემოებამ უკიდურესად დაძაბა ბრძოლა შიდა ასპარეზობებში. საქმე ის არის, რომ შექმნილ სიტუაციაში ევროტურნირების საგზურების მოსაპოვებლად თბილისელთა ჩემპიონობა „აწყობს" ბათუმელებს (თუ ეს უკანასკნელნი თასის ფინალში გავლენ), სამტრედიელთა წარმატება კი — ფოთელებს (თუ თბილისელებმა თასი აიღეს, კოლხები უეფას თასის საგზურს მოიპოვებენ). ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს XVII ტურის გამოტოვებული მატჩის შედეგს („კოლხეთი-1913" — „დინამო" (თბ). შეხვედრა გაიმართება ფოთში 13 მაისს.

არანაკლებ ბუნდოვანი მდგომარეობაა სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში. ბოლოდან რვა ადგილზე (ზუსტად ნახევარი!) მყოფი გუნდი ინარჩუნებს შანსს „ხელი გამოჰკრას" მეორე ჯგუფის საგზურს. თუ ვინ იქნება ორი უიღბლო გუნდი, ვფიქრობთ, ბოლო ტურამდე ვერ შევიტყობთ.

### მეორე ჯგუფი

აღმოსავლეთის ზონა. პირველი ჯგუფის ერთადერთი საგზურისათვის გაფთრებული ბრძოლა აქვთ ახალციხის „მესხეთს", ბოლნისის „სიონს", თბილისის „ანცი-ზოოვეტს" და „მერანი-91"-ს. ასეთივე თანმიმდევრობით გამოიყურებოდა ლიდერთა ოთხეული XXIV -ე ტურის შემდეგ.

დასავლეთის ზონა. ტყიბულის „მეშახტე" და სენაკის „ეგრისი" — აი, ის ორი გუნდი, რომელთაც რეალური შანსები გააჩნიათ პირველი ჯგუფის საგზურის მოსაპოვებლად. ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს XX ტურის მატჩს სენაკში 16 მაისს, სადაც ლიდერები შეხვდებიან ერთმანეთს.

### მესამე ჯგუფი.

XV ტურის შემდეგ წინ კვლავ ქარელის „იბერიის" გუნდია, მას ფეხდაფეხ მიჰყვება ქუთაისის „რწმენა".

## არ არის საიდუმლო

# ალექსანდრ ბუბნოვი ამხელს...

წარსულში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა, ახლა კი რუსეთის უმაღლესი ლიგის კლუბ „დინამო-გაზოვიკის" მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ ბუბნოვმა ილაპარაკა ფეხბურთის სამყაროში მომხდარი რამდენიმე სკანდალური მოვლენის შესახებ.

— როცა 1991 წელს ცნობილი გახდა, რომ მარსელის „ოლიმპიკ" ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში მოსკოვის „სპარტაკს" ხვდებოდა, დამირეკა ბ. ტაპის კაცმა. მან ისეთი დიდი თანხა შემომთავაზა, რომ შემეძლო სიცოცხლის ბოლომდე არ მემუშავა, მთლიანად უზრუნველყოფილი ვიქნებოდი, ფულს იმ შემთხვევაში მომცემდნენ, თუ მოთამაშეებს დავიყოლიებდი და მატჩს დავთმობდით. მე ასე ვუპასუხე: თუ ასეთი მეთოდებით იმუშავებდნენ, საქმე ძალზე ცუდად წაევიდოდათ. ამით ჩვენი საუბარი დასრულდა, მაგრამ, როცა წარმოიქმნა სკანდალური სიტუაცია ცსკა-სთან დაკავშირებით, ეჭვიც კი არ მეპარებოდა, რომ მის მოთამაშეებს ფული შესთავაზეს!

კითხვაზე, თუ როგორ გრძნობდა ა. ბუბნოვი თავს „ორ ცეცხლს შუა", როგორ ეგუებოდა „სპარტაკის" მაშინდელ მწვრთნელ კონსტანტინე ბესკოვს, რომელსაც მეტად მძიმე ხასიათი აქვს, და ბესკოვზე არანაკლებ პირქუშ ვალერი ლობანოვსკის საბჭოთა კავშირის ნაკრებში, ყოფილმა ფეხბურთელმა ასე უპასუხა:

— ახლა სპეციალისტებისათვის საიდუმლო არ არის, რომ კიეველები სტიმულატორულ საშუალებებს იყენებდნენ, მე კი ამისი კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. დავრბოდი ისე, როგორც შემეძლო, როგორი საშუალებაც, ბუნების წყალობით, მქონდა. კიეველები თავდაპირველად სულაც არ გამოირჩეოდნენ სისწრაფით, ისინი შემდეგ მინდორზე ისე დაქროდნენ, რომ კაცი სახტად დარჩებოდა. რა მოჰყვა ამას შედეგად? გაუთავებელი ტრავმები, შერყეული ჯანმრთელობა... მოთამაშეებს არაფერში ვამტყუნებ. კარგად ვიცი, რას ნიშნავს დამოკიდებული ადამიანი იყო. კიეველები მშვენივრად ცხოვრობდნენ, ისინი ყველა დანარჩენებზე უკეთ იყვნენ უზრუნველყოფილი, დიდი სახელიც ჰქონდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, ახლა არა აქვთ ჯანმრთელობა.

როცა ბუბნოვს პირდაპირ ჰკითხეს, მას თუ სთავაზობდნენ დოპინგის მიღებას (ბუბნოვი თამაშობდა მოსკოვის „დინამოსა" და „სპარტაკში"), მან მიუგო, რომ ასეთ წინადადებებს მასაც აძლევდნენ, მაგრამ ყოველთვის უარით პასუხობდა. შეიძლება ყოველივე იმის დამტკიცება, რაზეც ბუბნოვმა მოუთხრო ჟურნალისტებს?

რა თქმა უნდა, ამდენი წლის შემდეგ ამის გაკეთება მეტისმეტად ძნელია. თავის დროზე ცსკა-ს მწვრთნელი გენადი კოსტილიოვიც ამბობდა, რომ მარსელის „ოლიმპიკ" ცდილობდა მისი მოთამაშეების მოსყიდვას, მაგრამ, როცა უეფამ ამის დამტკიცება მოსთხოვა, რაიმე საბუთი მოსკოველ მწვრთნელს, გასაგებია, არ აღმოაჩნდა.

ა. ბუბნოვის განცხადებებმა რუსულ და უკრაინულ პრესაში ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. ანატოლი დემიანენკოს, რომელიც ახლა კიევის „დინამოს" მეორე მწვრთნელად მუშაობს, ჰკითხეს:

— რას იტყვით ალექსანდრ ბუბნოვის სენსაციური განცხადების შესახებ, თითქოს ვალერი ლობანოვსკის დროს კიევის „დინამოს" მოთამაშეები სტიმულატორებს იყენებდნენ?

— გთხოვთ უბრალოდ და მარტივად დაწეროთ: ეს შეშლილის ბოდვა გახლავთ. იმდენი სადოპინგო კონტროლი გავიარეთ, გნებავთ საკავშირო, გნებავთ საერთაშორისო შეჯიბრებებში, იმდენმა ექიმმა შეგვამოწმა, რომ ვერ დავიჯერებ, თითქოს მათ უფრო ნაკლებად ესმოდათ ყველა ამ ნარკოტიკის ანუ ანაბოლიკისა, ვიდრე ფეხბურთელ ბუბნოვს. უბრალოდ, ჩვენ ფეხბურთს ურიგოდ არ ვთამაშობდით და წარმატებებიც გვქონდა.

აი, რას წერს მიმომხილველი ალექსანდრ გორბუნოვი:

— პირველი: ბუბნოვმა ეჭვი შეიტანა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების, თასების გათამაშების, აგრეთვე ევროპული ტურნირების შედეგებში, რომლებიც კიეველების გამარჯვებით დამთავრდა. საჭირო გახდება ამ სიტუაციაში სერიოზული გარკვევა.

გარდა ამისა, ვერ ვიხსენებ ვერც ერთ კიეველ დინამოელს, რომელსაც „ჯანი გაუტყდა". რაც შეეხება ტრავმებს, ეს კიეველებსაც მოსდიოდათ და ნებისმიერი სხვა გუნდის მოთამაშეებსაც.

ვის მხარეზეა სიმართლე?

გივი თორელი

# მიხეილ ჯიშკარიანი? დროებით!

შეიძლება ბევრს გაუკვირდეს ის, რომ საქართველოს ნაკრების წევრი მიხეილ ჯიშკარიანი, რომელიც ადრე ჩვენი ქვეყნის №1 ფეხბურთელიც იყო, კიევის „დინამოს" შემდეგ, სადაც იგი თითქოს ურიგოდ არ თამაშობდა, პირველი ლიგის კლუბ „ბორისფენში" აღმოჩნდა.

საქმე კი შემდეგშია: „ბორისფენი", მას ჩვენთვის ცნობილი მიხეილ ფომენკო წვრთნის, დიდი ფინანსური შესაძლებლობის გუნდია და კიევის „დინამოსთან" მჭიდრო კავშირი აქვს. მ. ფომენკოს თხოვნით, კიევის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა ვ. ონიშჩენკომ დროებით გადასცა ოთხი მოთამაშე: ჯიშკარიანის გარდა, ცნობილი მცველი ოლეგ კუზნეცოვი, საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი წევრი, წლების განმავლობაში შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსში" რომ გამოდიოდა, აგრეთვე ანენკოვი და ვორობიოვი. „ბორისფენში" ახლა თავი მოიყარა უკრაინის ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებების არაერთმა ფეხბურთელმა, აქვე გამოდის გამოცდილი ოსტატი, საბჭოთა კავშირის ნაკრების ნახევარმცველი გენადი ლიტოვჩენკო.

გუნდის მიზანი ნათელია — გადავიდეს უკრაინის უმაღლეს ლიგაში.

## „ბაასის" ახალი წარმატება

შარშან ბაღდათის „ბაასმა" მინიფეხბურთის რესპუბლიკურ ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა.

და, აი, სულ ახლახან ბაღდათელმა სპორტსმენებმა კვლავ მიაღწიეს წარმატებას და ზედიზედ მეორედ მოიპოვეს ჩემპიონის წოდება. თბილისის „იმედის" სპორტკომპლექსში „ბაასი" ფინალში შეხვდა ადგილობრივ „ქორებს", პირველ მატჩში გაიმარჯვა ანგარიშით 5-4, განმეორებით შეხვედრაშიც იმარჯვა — 10-6.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● ცნობილ ფრანგ ფეხბურთელს ერიკ კანტონას რამდენიმე კლუბი, მათ შორის მილანის „ინტერიც" იწვევდა, მაგრამ ამ მაცდუნებელ წინადადებებს მან ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში" ამჯობინა დარჩენა, სადაც 1998 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი.

● დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა" თავის რიგებში მიიწვია დრეზდენის „დინამოს" 28 წლის ფეხბურთელი ანდრეას ზასენი. დრეზდენელთა გუნდი ამჟამად მძიმე ფინანსურ სიძნელეებს განიცდის და სურს წამყვან მოთამაშეთა გაყიდვით იხსნას თავი სრული კრახისგან. სხვათა შორის, ა.ზასენი ერთხელ უკვე გარიცხეს დრეზდენის „დინამოდან" ლოთობისათვის, შემდეგ უკანვე დააბრუნეს, მაგრამ ახლა, ამ გაჭირვების დროს, კვლავ 700 ათას მარკად შეელივნენ მას.

● გერმანიის ნაკრების მწვრთნელი ბერტი ფოგტსი საკმაოდ პესიმისტურად უყურებს მომავალს. კერძოდ, მისი აზრით, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის გერმანიის გუნდი ადრინდელი სიძლიერით ველარ იბრძოლებს, ვეტერანთაგან არავინ დარჩება, ახალგაზრდა მოთამაშეთა შორის კი მათი ღირსეული შემცვლელი ჯერ არ ჩანს.

● ბევრი ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, რომ იაპონიაში აპირებს გადასვლას იტალიის „მილანის" კაპიტანი, 34 წლის ფრანკო ბარეზი, მაგრამ ახლახან ცნობილი გახდა, რომ ფ.ბარეზიმ კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი „მილანთან".

● არგენტინის ქალაქ მერსედესში შედგა სასამართლოს სხდომა, სადაც დიეგო მარადონას უარი უთხრეს მოეხსნან სისხლის სამართლის დანაშაული ჟურნალისტებისთვის ატეხილი სროლის გამო და საქმე განიხილონ მხოლოდ საზოგადოებრივი სამუშაოს მისჯის თვალსაზრისით. დანაშაული — დანაშაულია.

● განთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელები, მსოფლიო ჩემპიონები დუნგა და ბებეტო შესაბამისად გერმანიის „შტუტგარტში" და ესპანეთის „დეპორტივოში" გამოდიან, მაგრამ ისინი უკვე წლეულსვე გადავლენ იაპონიაში. დუნგა „ჯოეზილო ივალაში" ითამაშებს, ხოლო ბებეტო — „ჯასიმა ანდლერში".

● არგენტინის ნაკრების მწვრთნელს დანიელ პასარელას განზრახული აქვს გადააახალისოს გუნდი, რისთვისაც ექსპერიმენტულ შემადგენლობაში მიიწვია ომარ ასალი, გაბრიელ მურერი და კლაუდიო ლოპესი. არგენტინელებს დაგეგმილი აქვთ ბუენოს-აირესში შეხვდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებს.



● რუმინეთში დიდი მითქმა-მოთქმაა იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ქვეყნის ნაკრების თავდამსხმელი ილიე დუმიტრესკუ ბუქარესტის „სტიაუადან" ინგლისის „ტოტენჰემში" გადავიდა. ინგლისელებმა 4,8 მილიონი დოლარი გადარიცხეს ამ გარიგების საფასურად, ი.დუმიტრესკუმ კი, თითქოს ამ თანხის ნაწილი უკანონოდ მიითვისა.

● ვალენსიაში ადგილობრივმა „ვალენსიამ" ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში მიიღო ბრაზილიის ნაკრები. ანგარიშით 4-2 გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა, 3 ბურთი გაიტანა ტულიომ, 1 — ჟუნინიომ, ესპანელთაგან — ლატორემ და გომესმა.

● 1998 წლის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი გაიმართება კვირას, 12 ივლისს, პარიზში და არა სამშაბათს (14 ივლისს), როგორც ეს ადრე იყო გამოცხადებული. საორგანიზაციო კომიტეტის აზრით, 14 ივლისს — საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულის დღეს ბევრ პრობლემასთან იქნება დაკავშირებული ფინალური მატჩის ტელეტრანსლიაცია. ახლა ორგანიზატორთა გადაწყვეტილება უნდა დაამტკიცოს ფიფამ, ციურიხში, 30 მაისს. ფიქრობენ, რომ ამ დღეს განიხილავენ სპეციალისტები ე.წ. „უეცარი სიკვდილის" ანუ „ოქროს გოლის" საკითხსაც, რაც დამატებით დროში პირველ გატანილ გოლამდე თამაშს გულისხმობს.

● ბრაზილიის ფეხბურთის მესვეურნი თვლიან, რომ მართალია, რიო-დე-ჟანეიროს გააჩნია მსოფლიოში ყველაზე ტევადი სტადიონი „მარაკანა", რომელიც 120 ათას მაყურებელზეა ნავარაუდევი, ქალაქი საჭიროებს ახალ, მცირე ზომის, მაგრამ კომფორტულ, თანამედროვე ნაგებობას. სწორედ ამიტომ გადაწყდა, 60-ათასიანი სტადიონის მშენებლობა, რომელიც 27 მილიონი დოლარი დაჯდება. პირველ აგურს მშენებლები მიმდინარე წლის ივლისში დადებენ. ზუსტად ერთი წლის შემდეგ კი სტადიონი ექსპლუატაციაში გადაეცემა ფეხბურთელებს.

## პროფესიულ რინგზე

ისევ სასამართლო მაიკ ტაისონს ისევ იბარებენ სასამართლოში: თავდაპირველად ამ ცნობამ თავზარი დასცა მსოფლიოს ექსჩემპიონის თაყვანისმცემლებს. ნუთუ მოკრივემ ისევ ჩაიდინა დანაშაული? ნუთუ არ მოვიდა ჭკუაზე ამდენი ხნის პატიმრობის შემდეგ? მაგრამ სულ მალე გაირკვა, რომ საქმე არც ისე ცუდად ყოფილა.

პროფესიულ კრივის სამყაროს, როგორც წესი, უამრავი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ეტმასნება. ბოლო დროს მათ ტერორის ქვეშ ჰყავთ მოკრივეები, რომლებიც ადრე ალვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდნენ. მათი მიზანი მარტივია: შანტაჟის გზით, რაც შეიძლება მეტი ფული დატყუონ ისედაც სახელგატეხილ სპორტსმენებს. ზოგ შემთხვევაში შანტაჟი წარმატებით მთავრდება, ზოგჯერ კი სასამართლო ამტყუნებს მომჩივართ, მაგრამ ჯერ არ ყოფილა მაგალითი, ისინი დაესაჯათ. ფიქრობენ, რომ ტაისონის შემთხვევა შესაძლოა გამონაკლისი გახდეს.

მსოფლიოს ექსჩემპიონის ყოფილი მეუღლის რობინ გივენსის მეგობარმა ფილის პოლანერმა საჩივარი შეიტანა სასამართლოში ტაისონზე — აქაოდა 1990 წლის 17 აგვისტოს ძალით გაუპატიურება დამიპირა და ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენაო. ექსჩემპიონმა კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ყველაფერი, რასაც პოლანერი ამბობს, მტკნარი სიცრუეაო. იგი, ტაისონის აზრით, გაგულისა ყოფილმა მეუღლემ და ასეთ ავანტიურაზე დაიყოლია ფულის მოგების მიზნით. საქმის გარჩევა დანიშნულია 12 ივნისისათვის.

ზოგი ჭირი მარგებელია ჯორჯ ფორმენთან დამარცხების მიუხედავად გერმანელი აქსელ შულცის აქციები საკმაოდ გაიზარდა. ამაღლდა მისი ავტორიტეტიც პროფესიული კრივის სამყაროში. შულცთან შეხვედრას უკვე ტიტულოვანი მოკრივეები ლამობენ. რიდიკ ბოუს პრომოუტერს როკ ნიუმენს საქმიანი მოლაპარაკება ჰქონდა გერმანელთან. ფორმენთან ბრძოლაში შულცმა 350 ათასი დოლარი მიიღო. ნიუმენი ბოუსთან შეხვედრაში მონაწილეობისთვის მას მილიონ დოლარს სთავაზობს. ექსჩემპიონი თანახმაა გერმანელ მოკრივეს შეხვდეს მის ქვეყანაში თუ, რა თქმა უნდა, საამისოდ შესაბამისი პირობები იქნება. ჯერჯერობით კი ბოუ ემზადება კუბელ ხორხე ლუის გონსალესთან შეხვედრისათვის, რომელიც გაიმართება 17 ივნისს ლას-ვეგასში.

ფორმენი ყველაფერზე თანახმაა 46 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში ჯორჯ ფორმენი და მისი პრომოუტერი ბობ არუმი ბოლო დროს ფულის კეთებაზე არიან გადასული და ყველა ბრძოლას ამ თვალსაზრისით განიხილავენ. ისინი არ უარყოფენ იმას, რომ გერმანელ შულცთან ორთაბრძოლაში სადავო გამარჯვება მიიღეს და მზად არიან ნებისმიერ დროს მოაწერონ ხელი ხელახალ შეხვედრაზე. ფორმენი თანახმაა შეხვდეს შულცს მიუნხენში ოლიმპიურ სტადიონზე 80 ათასი მაყურებლის თანდასწრებით. არუმს იმედი აქვს, რომ ამ შემთხვევაში ისინი 25 ან 30 მილიონ დოლარს „დაითრევენ".

97 წლისა გარდაიცვალა მოკრივეთა მსოფლიო კავშირის დამაარსებელი. პროფესიული კრივის ერთ-ერთი აღიარებული ავტორიტეტი მარტი კოენი ახალგაზრდობაში კოენი საკმაოდ კარგი მოკრივე იყო, მერე მწვრთნელი, მენეჯერი, პრომოუტერი, მსაჯი რინგს გარეთ და არბიტრი რინგზე. მან აღზარდა ბევრი სახელოვანი მოკრივე — მსოფლიო ჩემპიონი. მათ შორის მაიკლ დოუქსი და ჰექტორ „მაჩო" კამაჩო. სხვათა შორის, კოენმა დიდად შეუწყო ხელი ჯორჯ ფორმენის ხელახალ წარმატებას.

როგორც ლას-ვეგასის გაზეთები იუწყებიან, სპეციალურმა კომისიამ რიდიკ ბოუსა და ხორხე ლუის გონსალესს 17 ივნისამდე (ამ მოკრივეთა შეხვედრის დღეა) კატეგორიულად აუკრძალა პრესკონფერენციებში მონაწილეობა. კომისიამ ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო 20 აპრილის პრესკონფერენციის შემდეგ, რომელზეც მხარეებმა გადაჭარბებული აქტიურობა გამოიჩინეს, ლანძღეს ერთმანეთი, დაამტვრიეს ჭურჭელი და ბოლოს სიკვდილის მუქარით დაშორდნენ ერთმანეთს.

ლუისვილში გაიხსნა მსოფლიოს ექსჩემპიონის, პროფესიული კრივის ერთ-ერთი სუპერვარსკვლავის მუჰამედ ალის მუზეუმი. ჯერჯერობით ექსპოზიცია (ფოტოები, დოკუმენტები) მხოლოდ ერთ დარბაზშია განთავსებული. შემდგომში განზრახულია დიდი სასწავლო ცენტრის შექმნა, რომლის ნაწილიც გახდება ზემოხსენებული მუზეუმი. გახსნის ცერემონიალზე 53 წლის ალის სიტყვაც არ დაუძრავს. მან მხოლოდ ბოლოს, რამდენჯერმე შემოკრა ზარებს, რაც მუზეუმის გახსნის მაუწყებელი ნიშანი იყო.

## კონსტანტინე გონაძე



ვერ მოესწრო ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავის ზეიმს, რამდენიმე დღით ადრე, 80 წლისა წავიდა ჩვენგან მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, პოლკოვნიკი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, კონსტანტინე გონაძე.

ამ კაცის მთელი ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართული სპორტის განვითარებასთან: საქართველოს ათგზის ჩემპიონი ფარიკაობაში, სპორტის ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი — წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა საქართველოს ფარიკაობის ფედერაციას, იყო სხვადასხვა სპორტული საზოგადოების ხელმძღვანელი. მისი ორგანიზატორული ნიჭი და ჭეშმარიტი პატრიოტის თვისებები განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ფიზიკური მომზადების განყოფილების უფროსისა და უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის დირექტორის თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში.

კ. გონაძემ მრავალი სპორტსმენი აღზარდა, რომელთა შორის არაერთმა ღირსეულად დაიცვა ჩვენი ქვეყნის სახელი.

ახალგაზრდობის აღმზრდელი და მეგობარი, გამოცდილი პედაგოგი, მგზნებარე პატრიოტი და მოქალაქე, თავმდაბალი და სითბოთი აღსავსე პიროვნება ღირსეული ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა ჩვენს საზოგადოებაში.

ვალმოხდილი წავიდა კონსტანტინე გონაძე ამ ქვეყნიდან, მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველას გულში, ვინც მას ახლოს იცნობდა.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,
საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია.

თბილისის სპორტის სამმართველო თანაუგრძნობს ამავე ორგანიზაციის ხელმძღვანელს ვლადიმერ კანკავას დის

ლავანდა კანკავას

გარდაცვალების გამო

მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" თანაუგრძნობს ამავე საზოგადოების თავმჯდომარეს ვლადიმერ კანკავას დის

ლავანდა კანკავას

გარდაცვალების გამო.

„ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ვლადიმერ კანკავას დის

ლავანდა კანკავას

გარდაცვალების გამო.

## სპორტი ყველასათვის

წვევამდელთა სპორტული პროფილი — ასე შეიძლება ეწოდოს ასპარეზობას, რომელიც თბილისის სპორტის სამმართველომ (თავმჯდომარე ვ. კანკავა) ჩაატარა დედაქალაქის რაიონების წვევამდელებისათვის. პროგრამაში იყო პნევმატური შაშხანის სროლა, სიმძიმეების აწევა და რბენა. გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს საბურთალოელებმა, მეორე იყო ვაკის, მესამე — გლდანის რაიონის წარმომადგენლები.

შეჯიბრებას ესწრებოდნენ თავდაცვის სამინისტროსა და რესპუბლიკის კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკები.

გიორგი ხუნაშვილი

სულ მალე, ივნისში, მონტე-კარლოში ჩატარდება მსოფლიო თასის გათამაშება სპორტულ ნარდში. მანამდე სტამბოლში გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი 17 ქვეყნის მონაწილეობით. II ჯგუფში, სადაც ოსტატები ასპარეზობდნენ, ფინალში ორი ქართველი გავიდა — თბილისელი თემურ სიხარულიძე და ბათუმელი სოსო შანიძე. გაიმარჯვა შანიძემ და ჯილდოდ პრიზთან ერთად 7 000 ამერიკული დოლარი მიიღო. სიხარულიძეს 2.000 დოლარი ხვდა. 111 ჯგუფში (ახალბედები) წარმატება იზეიმა ტყიბულელმა ზაქრო ცირეკიძემ და 700 დოლარი დაიმსახურა.

ი. კუსიძე
ბათუმი.

ზუგდიდის დამოუკიდებელი ინსტიტუტის გუნდმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია რესპუბლიკის 14 უმაღლესი სასწავლებლის მკლავჭიდელებს და მეორე გუნდური ადგილი დაიკავა საქართველოს უნივერსიადის პროგრამით სპორტის ამ სახეობაში. პირველობა, ცხადია, არავის დაუთმო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სადაც ძირითადად რესპუბლიკის ნაკრების წევრები გამოდიან. მესამე იყო ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი.



მარცხნიდან: ხ.რ. კაპაბლანკა, მ. ბოტვინიკი, ე. ლასკერი

## გარდაიცვალა ბოტვინიკი

გარდაიცვალა მიხეილ ბოტვინიკი — მეექვსე მსოფლიო ჩემპიონი. მსოფლიოს პირველი ჩემპიონის ვილჰელმ სტეინიცის მსგავსად, მას შეეძლო ეთქვა: „მე არა ვარ ჭადრაკის ისტორიკოსი, მე თვით ვარ ჭადრაკის ისტორიის ნაწილი, რომელსაც გვერდს ვერავინ აუვლის".

ბოტვინიკი დაიბადა 1911 წლის 17 აგვისტოს. ჭადრაკის თამაში 12 წლისამ დაიწყო, დღევანდელი გაგებით, ძალიან გვიან. 14 წლისამ პირველი კატეგორია მოიპოვა, 16 წლის ასაკში კი ოსტატის წოდება.

ჭადრაკში მთელი ეპოქა შექმნა. თავი რომ დავანებოთ ყველა მის მიღწევას საერთაშორისო თუ საკავშირო ტურნირებში, მრავალ წელს მსოფლიო ჩემპიონი იყო. 1938 წელს გაუგზავნა ოფიციალური გამოწვევა მსოფლიოს მაშინდელ ჩემპიონ ალექსანდრე ალიოხინს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა ამ მატჩის მოწყობას. 1948 წელს ჰააგასა და მოსკოვში, ვასილ სმისლოვთან, პაულ კერესსა, სემუილ რეშევსკისა და მაქს ეივესთან ბრძოლაში მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება, რომელიც 1957 წლამდე შეინარჩუნა. ამ უმაღლეს წოდებასთან გამოთხოვება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ ბოტვინიკმა მატჩ-რევანშში სძლია სმისლოვს და დაიბრუნა „ტახტი". 1960 წელს მან კვლავ დაკარგა ეს უმაღლესი წოდება. თუმცა 1961 წელს მოიგო მატჩ-რევანში მიხეილ ტალთან და ჭადრაკის ისტორიაში პირველი დიდოსტატი გახდა, ვინც მსოფლიო ჩემპიონობა მეორედ დაიბრუნა. „დრონი მეფობენ, და არა მეფენი". 1963 წელს ტიგრან პეტროსიანთან დამარცხების შემდეგ ბოტვინიკი უკვე საბოლოოდ გამოეთხოვა საჭადრაკო გვირგვინს, ტურნირებში კი 1970 წლამდე იღებდა მონაწილეობას და მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ რჩებოდა.

რა იყო დამახასიათებელი ბოტვინიკისათვის, როგორც მოჭადრაკისათვის? ღრმა სტრატეგიული ჩანაფიქრი, მოულოდნელი ტაქტიკური დარტყმები, მუდმივი ლტოლვა ინიციატივისაკენ, სრულყოფილი პარტიების შექმნისაკენ. ბოტვინიკმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მოჭადრაკის წინასწარ მომზადებას, რაც ადრე ბევრი დიდოსტატისთვისაც ახალი ხილი იყო, შექმნა შეჯიბრებებისათვის მზადების საკუთარი მეთოდი. იყო დიდი თეორეტიკოსი, მთელ რიგ დებიუტებში ჰქონდა ღრმა გამოკვლევები, არაერთი საინტერესო ანალიზი ენდშპილში.

მსოფლიოში გაითქვა სახელი მიხეილ ბოტვინიკის საჭადრაკო სკოლამ, სადაც სხვადასხვა დროს მეცადინეობდნენ ანატოლი კარპოვი, გარი კასპაროვი, არტურ იუსუპოვი, იური ბალაშოვი, ანდრეი სოკოლოვი, ნანა იოსელიანი, და სხვა გამოჩენილი დიდოსტატები.

ბოტვინიკი დიდი სპეციალისტი იყო ელექტრონიკის სფეროში. იყო პროფესორი და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი. მისი მრავალრიცხოვანი წიგნები ჭადრაკსა, ელექტრონიკასა და კიბერნეტიკაში გამოცემულია ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, შვედურ, დანიურ, უნგრულ, ქართულ ენებზე.

დიდი მოჭადრაკის პარტიებზე, ცხადია, მთელი თაობები ისწავლიან, სწორედ ისევე, როგორც ისწავლეს მისგან დღევანდელმა მსოფლიო ჩემპიონებმა თუ პრეტენდენტებმა.

ბივი გამრეკელი

## საქართველოს ჩემპიონატი

● ველოსპორტი

საგზატკეცილო რბოლაში პირველი ტურის შემდეგ დაწინაურდა თბილისელი რომან ცხოვრებაძე. მან დათმო მხოლოდ 24 კმ-იანი სამთო რბოლა კუს ტყის შემოგარენში. ეს დისტანცია ყველაზე სწრაფად (6.52,97 წ.) ქუთაისელმა დავით შავგულიძემ გაიარა. ცხოვრებაძის შედეგია 7.04,76. მესამე იყო გიორგი ქარელიძე (თბილისი, 7.24,09).

41 კმ-იან კრიტერიუმში კვლავ ცხოვრებაძემ იმარჯვა. მეორე იყო კობა აბაიშვილი (თბილისი), მესამე — ქარელიძე.

ჯგუფურ რბოლაშიც (86 კმ) ცხოვრებაძემ ისახელა თავი (2 სთ და 15 წთ), მას წამით ჩამორჩა თბილისელი არმიელი რევაზ ხვედელიძე, ქუთაისელი ვაჟა ძიგავა კი ორი წამით.

## ხუთი რგოლის გარშემო

ამ დღეებში ატლანტის ტელევიზიით გამოვიდა 1996 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ბილ პეინსი, რომელმაც ისაუბრა თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალის შესახებ. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ორგანიზატორები არაფერს შემოგვთავაზებენ ახალს, ოღონდ ამჯერად სხვა იქნება ცერემონიალის აქცენტი და მთავარი თემა. ატლანტაში ხაზი გაესმება პლანეტის ხალხთა მეგობრობის კეთილშობილურ იდეას და ეს მოტივი გაჰყვება მთელ ოლიმპიადას. გახსნის ცერემონიალის უკეთ მომზადების მიზნით ორგანიზატორებმა დაიქირავეს ჰოლივუდის სპეციალისტები და კონტრაქტი გააფორმეს მათთან.

ჯორჯიას შტატის ფედერალურმა მოსამართლემ ო'კელიმ კანონის დარღვევად, ანტიკონსტიტუციურ ქმედებად მიიჩნია ატლანტის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება სარეკლამო ფარების შესახებ. სკანდალი გამოიწვია ერთ-ერთი ფარის ზომებმა. ამ გიგანტური სარეკლამო პანოს სიგანეა 27,3, სიმაღლე კი 12 მეტრი, მოქიშპე ფირმების საჩივარში ხაზგასმული იყო, რომ რეკლამის პირობები ყველასათვის თანაბარი უნდა იყოს: ო' კელის აზრით, მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება ანტიკონსტიტუციურია და ხელყოფს სიტყვის თავისუფლებას. ქალაქის ხელისუფლება მოსამართლის გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ აპირებს — იგი, ფაქტობრივად, შეეგუა ო' კელის ვერდიქტს.

## მძლეოსნური მოზაიკა

● ცნობილი გახდა მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მძლეოსნის სახელი, რომელიც მხილებულია დოპინგის მიღებაში. ეს გახლავთ 14 წლის ლაიზა დე ვილიერსი — სამხრეთ აფრიკის იუნიორთა ჩემპიონატის მესამე პრიზიორი სიგრძეზე ხტომაში. არ არის გამორიცხული, რომ ნორჩ სპორტსმენს ბოლომდე არ ჰქონდა გააზრებული დანაშაულის სიმძიმე. მაგრამ განმეორებითი ანალიზის შემდეგ ფაქტი თუ დადასტურდა, ვილიერსს ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია ელის.

● მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონატის მა-



სპინძლობის მსურველთა სია საბოლოოდ ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა. კანდიდატთა შორის არიან: ათენი, რომი, სპლიტი, ჰელსინკი, დელი, მადრიდი, სევილია, ბარსელონა, სტენფორდი და სიეტლი. როგორც ხედავთ, ესპანეთი ამ სიაში სამი, აშშ კი ორი ქალაქითაა წარმოდგენილი. საერთაშორისო ფედერაცია მოითხოვს ამ ქვეყნებიდან თითო კანდიდატურის წარმოდგენას. ამასობაში გაჩნდა მსოფლიოს 1999 წლის ჩემპიონატის მოწყობის პირველი მსურველი. ეს გახლავთ ჩინეთის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი კანტონი.

უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ნიჩბოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის არჩევნები ჩატარდება 1995 წლის 8 ივნისს, 12 საათზე, სპორტის დეპარტამენტის კოლეგიის დარბაზში.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ქ.შოშიტაშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე